

სა) ასცილდა ქუთაისის რკინის გზა... (მეურნე“).

* * * ლისტ. -ის სიტყვით, კავკასიის უმაღლესს ადმინისტრაციას განუზრახავს დაარსება ტფილისში საექიმო დაწესებულებისა, რომელმაც უნდა ამზადოს დიფტერიის საჩინო შრატის მთელის კავკასიისათვის.

* კვირას, 10 დეკემბერს, ექიმმა ხუდალდომა წაიკითხა რუსულს ენაზე ავქალის იაფ-ფასიან სასადილოს შენობაში ლექცია დიფტერიის შესახებ. ლექცია კარგის, გასაგების ერთ უხსნიდა უბრალო ხალხს—რა არის დიფტერია, როგორ უნდა მოიქცეს ავადმყოფის ოჯახი, თუ დიფტერიით გაუხდა ვინმე ავად სახლში, რა მნიშვნელობა აქვს სიწმინდეს სახლში, ეზოების სისუფთავეს და სხვა. ამგვარივე ლექცია ღამის თავშესაფარს სადგურში წაიკითხა ბ. ოსტროვსკიმ.

ყველასათვის ცხადია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ანგარს ლექციებს მდებარე ხალხისთვის და ამიტომ არ იქნება ურიგო ქართველმა ექიმებმაც გაპარათონ ამგვარივე კითხვა ჩვენის ხალხისთვის.

* * * ნოვ. ობოზრ. -ს სიტყვით, ქალაქის გამგეობა მოსთხოვს ქალაქის საბჭოს 2 ათას მანეთს მათის იმპერატორების უდიდებულესობათათვის პურ-მარლის მისართმევედ გვირგვინის კურთხევის დროს და 3 ათას მანეთს ტფილისში დღესასწაულის მოწყობისთვის იმ დღეებში.

დულს და გადმოდის, მე მყავს სატრფო, მე მყავს ტოლ-ამხანაგი, მე მყავს მშობლები, მე მინდა იმათთან ერთად მოვკვდე. ნუ თუ მარტო ამისათვის არა ღირს სიცოცხლე?.. ოხ, თეო, ჩემო სალოცავო, ნეტა ახლა როგორ ხარ, ნუ თუ კიდევ გახსოვს შენი დამცირებული ზურა? და აღრი-ალა ზურამ და საწოლზე პირქვე დაემხო.

„საპატიმროში მარტო ბოროტ-მომქმედები არ არიან დამწყვდევლებიო“. გაახსენდა ზურას თეოს სიტყვები და ცრემლებით წამოიძახა.

— დიახ, დიახ, საპატიმრო ბევრი ქვეყნისთვის თავ-დადებულის სავანე ყოფილა. მაგრამ მე რა? მე ერთი უძლური მატლი ვარ, რომელსაც ჯერ ცხოვრებაში არა გამიკეთებია—რა და ასე საძიხლად-ვიტახჯები. ჯერ ვის რა ვარგე? ვის მყავს ამ ქვეყნად გულ-შემატყვაობი. ვი იცის უწყაბ-ლეუბივითა-კი ხითხითები ჩემი ნაცხოციები. მართა დედინების ძუძუები თუ დამლოცავს, მართა ჩემი სატრფო თუ მომიგონებს. ოხ, დედავ, ოხ თეო! კადევ გაიმეორა ზურამ და ქვითინი ამოუფავა. დიდხანს ტიროდა ზურა, მაგრამ ტირილი ყოველთვის ხომ ნიშანი არ არის სიღარიბისა!

— თუ ღმერთი გწამთ, ნუღარ მალოდინებით ეხვეწებოდა თეო კეთილადე სამხარო სამართველოს ერთ მწერალს, რომელსაც უფროსმა უარ-ძახა თეოსთვის საჭირო ქალაღი დაეწეო.

უფროსს-კი არ ეხვეწა აბა ბევრსა! რამდენი დამცირება, რამდენი ხვეწ-ნა-მუღარა დასჭირდა თეოს, ვიდრე ზურას ნახვის ხედას მისცქმდნეს. მაგრამ ახლა ყველაფერი დაავიწყდა.

* * * სოფ. უჯარმა: წელს ჩვენს სოფელში კარგი მოსავალი იყო პუ-რისაცა და ღვინისაცა და მოხარულნი ვართ, რომ წლიური სარჩო მოგვივიდა. მაგრამ არც უჯარმა არის დატოვებული ბოროტ-მომქმედთა პირთაგან. ჯერ იყო ამ შემოდგო-მანდ ორ აქაურ გლეხ კაცს მოჰპარეს ცხენები და კვალი ავაზაკების ვერ აღმოაჩინეს და ეხლა შვიდ ქრისტეშობისთვის, საღამოს რვა სა-ათზედ, დაიძახეს სოფელში—ივანე შიოლაშვილის საბძელი და თივები იწვიოსო. ხალხი სწრაფად გაიქცა მისამველებლად, მაგრამ სამწუხაროდ გვიან-ლა იყო, ცეცხლი ძლიერ გა-ძლიერებულიყო და ვერ გადარჩა ვერც საბძელი ბზით სავსე და ვერც თივები. ხარალი სამოც თუმანს აღე-მატება.

ცოტა რამ ჩემის მონაწილეობის შესახებ „ივერიის“.

ორი წელიწადი და რვა თვეა მას აქეთ, რაც „ივერიის“ რედაქციამ მუდმივ თანამშრომლად მიმიწვია.

პირველი ოთხი თვე ჩემის მონაწილეობისა გაზეთში შემოსისაზღვრე-ბოდა მხოლოდ იმ წერილებით, რომელთაც ჩემი პსევდონიმი—მეველე—ჰქონდა მოწერილი. ხოლო ოთხის თვის შემდეგ, ე. ი. 93 წ. მარია-მობისთვის პირველს, სარედაქციო კომიტეტმა მარწმუნა გაზეთის გამგე-ობა და ჩამაბარა ეს საქმე.

მე, რასაკვირველია, მესმოდა, რომ

მისი სული მხოლოდ მწერლის ხელ-ში და იყო და მერე-კი ზურასთან გაუფრინდებოდა.

— მალე, მალე, თქვენი ქირიმით, ნუღარ მაგვიანებთ. მეათასედ ვღრი-ჯებოდა თეო.

მწერალი-კი ზანტად აწრიბინებდა მისგან დატახჯულ კალამს, დრო გა-მოშვებით თვალს გადაავლებდა ხოლ-მე ამხანაგებს, რომლებიც შემოსხ-დომოდნენ გრძელ მაგიდას, გადაე-შალათ დავთრები და საქმიანობის მაგივრად ცუდლუტობდნენ, შემდეგ ცბიერად შეხედავდა ხოლმე თეოს და კვლავ კალამს აწრიბინებდა.

— ვიძიე გული მოსდიოდა თეოს. კანცელარიაში რაღაც საიდუმლო-ება სუფევდა. უფროს-უმცროსობა გამეფებულიყო. ყოველს ხივთს ყო-ველს სავახს ფორმალური სახე მიე-ლო. მდივანი, ღამაზი შეხედულობი-ბისა, მაგრამ საშინელი ტუტუკი გამომეტყველებისა, მწერლებს უაღ-ვეროდა, ძწეოლები ჩაფრებს რაღა-საც ეტუტუხებოდნენ, აგვიდას უფ-როსნი (სტოლონაჩლნიკი) მიკო-ტბივით გამოიყურობდნენ. უფრო-სი-კი, უკან ხელზე დაწყობილი, ოთახში გადი-გამოდოდა, ყელში ხიხინებდა, იხუროდა და შიშის ქარსა გვრიდა კანცელარიის წვრილ-ფეხო-ბას, რომელიც ისეთის ღმობიერე-ბით უყურებდნენ, როგორც ერთგუ-ლი ძაღლი თავისს პატრონს. აუტა-ნელი იყო არა მოხელესათვის აქ ყოფნა.

თეოც ძალზედ იტანჯებოდა. ხან ერთს შეხედავდა, ხან მეოროს, ვერა-ვის სახეზე თახაგობობა ვერ ამოი-კითხა, ყველა დაღვრეწილიყო, თით-ქოს ქვეყნის ბედ-იღბალი მართლა იმათზე იყოს დამოკიდებული. დას-რულდა თეოს წვალება. სასურველი ქალაღი ხელთ იგდო, სიხარულით

მოვალეობა, რომელსაც ვკისრულო-ბდი, მძიმე საზიდავი ტვირთი იყო და რომ ყოველ-დღიური გაზეთის წესიერად მოვლას განათლებაც სა-ფუძვლიანი უნდოდა და ნიჭიც გან-სხვავებული; ყოველი ესე მე მტკი-ცედ მქონდა შეგნებული, მაგრამ მაინც ვაგებდე და დავეთანხმე სარე-დაქციო კომიტეტის წინადადებას.

საფუძვლად ასეთს ჩემს ვაზედულს გარდაწყვეტილებას ის აზრი-კი არ ჰქონია, რომ მე სწორედ ზემო აღ-ნიშნულ ღირსებათა პატრონად მი-მაჩნდა ჩემი თავი. არა. მე მხოლოდ ის გარემოება მამხნივებდა, რომ სურ-ვილი ჩემი მწერლობის სამსახურისა გულ-წრველი იყო, ერთგულება სა-გნისა, რომელსაც ვკიდებდი ხელს, განმარტებული და აზრი, თუ რო-გორი გაზეთი ექირვებოდა ქვეყანას, სრულიად გამორკვეული.

დღეს, პირველ დეკემბერს, როდეს-საც ჩემი მონაწილეობა „ივერიის“ დაეასრულე, საჭიროდ მიმაჩნია თვა-ლი გადავავლო წარსულს ოდნად, რომლის შესახებ უფლება მაქვს ვი-სურგო სამართლიანი მსჯავრი იყოს შემდგარი.

93 და 94 წელს, მე ხშირად მქონდა საუბარი „ივერიის“ მკითხ-ველთან. სითამამე და დიდი კანდიე-რება იქნება ჩემის მხრით იმისი ფიქ-რი, რომ ყოველი, რაც დავსწერე, უტილობელი ჰქმნარიტება იყოს და ჩემს თავს შეუმცდარად ვხადოდე.

ნაკულუღევანება ჩემს ნაწერებს, რასაკვირველია, მრავალი ექნება;

წამოწითლდა და საჩქაროდ გარედ გამოვარდა. მოისმა მწერლების ჩუმი ხითხითი და ოხუნჯობა, მაგრამ თეოს მათთვის არა სცალოდა. წავლო ხელი გარედ მომლოდინე ეფემიას და საპატიმრო-სკენ გასწია.

— ერთ თთვეზე მეტია ჩემი ზურა არ მინახავს. ოხ, როგორ გადავხვე-ვი! ჰფიქრობდა თეო და ჩქარის ნა-ბიჯით მიმწერებოდა. ეფემიაც ქმე-ნით მისდევდა.

შემოდგომის ცივი და ღრუბლიანი დღე იყო. ქვეყანას თავ-პირი ჩამო-ტიროდა. ქალაქი ტალახის გუბებდ და დაქცეულიყო. თეო თავ-დავიწყე-ბით მისტოპავდა ტალახში.

აგერ საპატიმროც გამოჩნდა. თე-ოს გულმა შემოჰკვნესა. ერთი საშინ-ლად ამოიოხრა და თავ-ჩაღუნულმა ალაყაფის კარებს მიამშურა.

ყარაულმა ნიშანი მისცა. მძიმედ გაიღო კარები, თეო და ეფემია შიგ შეუშვეს და ისევ მაგრად დაჰკეტეს. საპატიმროს ვიწრო ეზოში ტუსა-ლები ღზნდვიით დაიარებოდნენ. გულ-ხელ დაკრებილები ღრმა ფიქრ-ს მისცემოდნენ. საშინელება იყო ეს კედლებით შემოზღუდული, მთელს ქვეყანას მოწყვეტილი ვიწრო ნაჰე-რი მიწისა. ირგვლივ კედლები, ირ-გვლივ ჯარის კაცები, ირგვლივ რა-ღაც უცნაური საზარლობა და გამო-უთქმელი დამცირება.

შეკრთა თეო, გულმა ცახცახი დაუწყო.

— ვი თქვენ დედასა, თქვე უბე-ღურის შვილებოოო! წუწუნებდა ტუსალების მომზირალი ეფემია და თვალები ცრემლებით ევსებოდა.

— თუ შეიძლებოდა ზურა ქება-შვილი მაჩვენეთ. გაუბედავად მიჰმართა თეომ ზე-დამხედველს და ნება-ართვის ქალა-

მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რომ გარ-და ჩემის სამშობლოს ერთგულებისა და ჰქმნარიტების ძიებისა, სხვა რამ განზრახვა მქონდეს ოდესმე.

შესაძლოა ბევრი უხეიროდ და, იქნება, უსამართლოდაც მეტყვას; მაგრამ ზოგადი აზრი ჩემის წერილე-ბისა, ერთიანი მსწრაფება ჩემის ბუ-ნებისა-კი ყოველთვის სამართლიანო-ბისა და ერთობის დამყარების სურ-ვილი იყო ჩემს მამულიშვილთა შო-რის... ხოლო რაოდენად მივალწიე ჩემს განზრახვას—ეს მკითხველი სა-ზოგადოების მსჯავრს ექვემდებარე-ბა.

რაც შეეხება პირადს ჩემს აზრს „ივერიის“ შესახებ, უნდა აღვიარო, რომ ამ ხნის განმავლობაში იქნება მე სხვაზედ უფრო უკმაყოფილო და გულნაკლული ვიყავი, რადგანაც ვხედავდი, და დარწმუნებულიცა ვარ, რომ ერთად-ერთის ქართულის პო-ლიტიკურის გაზეთის წაყვანა კარგად შეიძლებოდა.

მაგრამ ჩემგან დამოუკიდებელის და უძლეველის მიზნის გამო „ივე-რიის“ სასურველად მოწყობა არ მო-ხერხდა.

იმედი მაქვს, ვერავინ დამისახე-ლებს ისეთს აზრს გაზეთში წარმო-თქმულს ამ ორის წლისა და რვა თვის განმავლობაში, რომელიც ორ-განოს დანიშნულებასა და სახელს ჩირქსა სცხებდეს!

ხოლო რაც შეეხება იმ სამდურავს, რომელიც ხშირად მსმენია: რომ „ივერია“ სუსტა და უგემურს მა-დი გაუწოდა.

— ზურა ქებაშვილი? — დიად, მოკლედ უპასუხა თეომ. ზედამხედველმა ეკვის თვლით შე-ხედა თეოს. მერე ეფემია ათვალე-ერ-ჩათვალეირა და ბოხის ხმითა ჰკითხა.

— თქვენი შვილია, დედი, ქება-შვილი?

— არა, სასიძო გახლავთ, უთხრა ეფემიამ.

— თუ არა ვცდები თქვენი საქმ-რო იქნება, ახლა თეოს მიუბრუნდა. რას ყბედობს ეს ოხერი; მე გული მელევა და ეს აქ ცნობის-მოყვარეო-ბას იჩენს; გაიფიქრა თეომ და სიბ-რაზისაგან აიღეწა.

— გვიან ვაჩვენებენ? სიტყვა ბან-ზე აუღლო თეომ.

— ოჰ, რა ძლიერ მეცოდებით, განაგრძო ზედამხედველმა, თითქოს თეოს სიტყვები არც-კი გაუგონიო, ეგრეთი ყმაწვილი, ღამაზი ქლი და... ცბიერად შესწყვიტა მოხელემ და თეოს თვალეში დააქკერა.

— მალე ვაჩვენებენ თუ არა? მოუთმენლად დაკითხა მოხელის თავ-ხედობით უარესად გაბრაზებული თეო.

— მე ვუბრძანებ და ვაჩვენებენ, იმის გარედ გამოყვანა შეუძლებე-ლია, უთხრა თვალის ჩაკვრით ზედამ-ხედველმა და უმცროს მოხელეს და-უძახა.

ეს უკანასკნელი გაუძღვა ზურას ჰირისუფლებს და სადღაც ვიწრო დერეფანში შეიყვანა, აქედგან გაატა-რა რამდენიმე ოთახი და უთხრა, აქ მოიცადეთ და ეხლავე მოვიყვანთო. ის ოთახი, სადაც თეო და ეფემია შეაჩერეს, გატბრული იყო მოაჯი-რით და მავთულების ქსელით. ამ მოაჯირის იქით დაყენებდნენ ხოლ-მე მძიმე დანაშაულიან ტუსაღს და

საღას აწოდებს თავისს მკითხველე-ბსაო — ეს სამდურავი გულ-დამშვიდე-ბით შემოძლია ავიცილოო, რადგანაც ამაში არავითარი ბრალი არ მიმი-დღვის.

შარშან და შარშან წინ ორასჯერ მაინც მქონია საუბარი „ივერიის“ მკითხველთან ასს სხვა-და-სხვა საგა-ნზე, და ასეთის ძვირფასის უფლების მონიჭებისათვის დიად დიდს მადლო-ბას ვსწირავ ბნს „ივერიის“ რედაქ-ტორს.

გარნა იმის შესახებ ლაპარაკი— რასთვის უარ-ყვავი ეს ძვირფასი უფლება და აგერ ერთი წელიწადია შევწყვიტე წერა გაზეთში, ზოგიერ-თის საზოგადო ინტერესების გამო— საჭიროდ არ მიმაჩნია.

დავით მიქელაძე.

ქალაქის საბჭო.

11 დეკემბერი.

თუმცა ამ დღეს ქალაქს ათამდე საგანი ჰქონდა განსახილველი, რომელიც 4 დეკემბერს განუხილველი დარჩა, მაგრამ ვერც ერთს განხილ-ვა ვერ შესძლო, რადგან მთელი სა-ღამო მონადომა სულ ახალს წინა-დადებას, ფრად საყურადღებოს ქა-ლაქის მკვიდრთათვის. ეს საგანი იყო წინადადება ბ-ნის ტფილისის გუბერ-ნატორისა, რომ რადგან ქალაქში გადამდები სნეულებანია გავრცელებული—ყვავილი, ყელჭირვება, წი-თელა და სხ. და მიხეილის საავად-მყოფოშიც სრულიად აღარ იღებენ

მნახველები ისე ელაპარაკებოდნენ. მოისმა ზურას ფეხას ხმა, თითო-ნაც მალე გამოჩნდა. თეომ ერთი შეჰკვილა და გადასახვევად გაექანა. მოაჯირმა ხანზარი დაიწყა და თეო წაბარბაცდა...

ახლა მკითხველმა წარმოიდგინოს რა ნეტარება და ამასთანავე რა ჯო-ჯოხეთა იქნებოდა ორის შეყვარებუ-ლის ასეთი შეხვედრა. თეოს მალი-მალ გული მასდიოდა. ზურა მოაჯი-რის იქილამ ამხნეებდა, გმინავდა, დამბლა დაცემულივითა ლულულემა-და სტიროდა ეფემიაც.

— ზურა, ზურა! სასოწარკვეთი-ლებით იძახოდა თეო.

— შვილო, შვილო, რაზე ჩაიგდე თავი მაგ განსაცდელში, ტირილით ბანს აძლედა ეფემია თავისს ქალს და სხვა ვერა მოეხერხებინა-რა.

ზურა დამარცხებული, დამწყვდე-ული ლომივით გრვინავდა, ცასა და ქვეყანას იწვევდა თავისს სამართლი-ანობის მოწმად.

საზარელი სანახავი იყო ეს სურა-თი, თვით დარაჯი-კი ცახცახებდა საცოდვაობისაგან იწვოდა.

— ვიძიე, ვიძიე რა ჯოჯოხეთში ჩავვარდი! კვნესოდა თეო.

— ვი, ჩვენ მტერსა და მტარვალებს აღდეგებულის ხმით უთხრა ზურამ. კარ-გი ნუსწუხარ, გენაცვა, გული გაიბაგ-რე. მითანარ, როგორ ხარ, ჩენი სკო-ლის საქმე როგორ მიდის. რა ხდება ქვეყანაზე? ზედი-ზედ ეკითხებოდა ზურა.

— შენ, როგორ ხარ, შენ, ეკით-ხებოდა თავისს მხრივ თეო, თორემ მე რა საკითხავი ვარ. უშენოდ მარ-ტო ლეშით ვცოცხავარ. ჩენი სკო-ლის საქმე-კი დაიშალა; სხვა რაში მოგვიმართა ბედმა ხელი, რომ კეთი-ლი საქმე აგვსრულებიყო.

— ნუ, ნუ ჰგობთ თეო ბედსა! აქ

ავადმყოფებს უადგილობისა გამო, ამიტომ ქალაქმა საკუთარი საავადმყოფო დააარსოს ორმოცი ავადმყოფისათვისაო. გამგეობა იმ აზრისა იყო, რომ საავადმყოფოს დასაარსებლად პირველსავე წელიწადს უნდა გადაიდოს 26,500 მან., ხოლო რადგან გადამდებ სნეულებანი უკვე არსებობს და შიშია მისი გავრცელებისა, ამიტომ გამგეობა იმ აზრისაა, რომ სთხოვოს საავადმყოფოებს მიხედვისას, რკინის გზისა და სამხედროს, რომ ისინი დაეხმარნენ მკვიდრთ, როგორც ხოლერობის დროს იყო, თავისი კარი გაუღონ გადამდებ სნეულებანი ავადმყოფებს, ხოლო ქალაქმა თავისი მხრივ ფული გადაუხადოს იმ ავადმყოფების შესანახი, რომელსაც პოლიცია, სასანიტარო ექიმები, ანუ ქალაქის ექიმები ვაჭვანინან ამ სამკურნალოებში, რისათვისაც გადაიდოს 2,800 მან.

ქ. ჯ. ანდრეასი. სამკურნალო საზოგადოება? განიხილა საგანი გადამდებ სნეულებათა გავრცელების შესახებ და დაადგინა, რომ მარტოა ებადებია არსებობსო. ეს დადგენილება რომ არ იყოს, შეიძლება ერთმა შემთხვევამ უტყუარ ებადებია დაჰბადოს. ამიტომ ყოვლად საჭიროა, რომ ქალაქს საავადმყოფო ჰქონდეს გადამდებ სნეული შემკურნალო ავადმყოფებისათვის.

ქ. ჯ. ანდრეასი. სენს განსაკუთრებით ქალაქის უსუფთაობა აჩენს და ხელს უწყობს იმის გავრცელებას.

ბედი რა შუაშია, როდესაც ყველაფერი შიგვალაღებული ადამიანები არიან დამნაშავენი, ადამიანები და მარტო ისინი უნდა დავგმოთ, იმათ უნდა ვებრძოდეთ! შენ, შენ გამხნედი! ხომ ხედავ მე, ჯერ-ჯერობით, მოწყვეტილი ვარ ქვეყნიდან, შენა ხარ ჩემ მაგიერად დარჩენილი სოფლად და იმედიცა მაქვს არ დაივიწყებ შენს მოვალეობას. ვინ იცის, განაგრძო აღლევებულის ხმით ზურამ, ამ ორ დღეში მე სხვაგან გამგზავნონ, რადგანაც ისიც-კი შერთ, რომ ამ დაბასებულის საპატიმროს სარკმლიდამ ვუსტკერი ჩემს ქვეყანას, ჩემ ხალხს, ვუსტკერი იმ ცის კამარას, რომელიც შენ თავს დაგნათის. იქნება ველარკი განახო... და აბა შენ იცი და შენმა ქალობამ, შენმა ადამიანობამ! ზურას ხმა ჩაუწყდა.

— არა, არა ზურა. მე შენ შემდეგ სიცოცხლე არ მინდა. მეც აქ ვიქნები შენთან, მეც შენთან ვიტანჯები, ქვითინებდა თეო.

— აბა რას ამბობ თეო. განაგრძო ისევ იმ ხმით ზურამ, მე ხომ ჯერ ცოცხალი ვარ. ჯერ კიდევ იმედი მაქვს განთავისუფლებისა, თუ არა და ჩემზე ხომ არ არის ქვეყანა დამოკიდებული. ჩემ გარდა კიდევ გაქვს ერთი რამე, რომელიც ჩემ თავსაც კი უნდა გერჩინოს, ეს არის ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მოვალეობა. ჩვენ მოვალენი ვართ ჩვენი პირადობა საქვეყნო საქმეს შევწირეთ, ჩვენი სიამოვნება საზოგადო გულის ტკივილს დავუნაცვლოთ. ძნელია, ძალიან ძნელია ამ გვარი მოქმედება, ყველაც ვერ შესძლებს, მაგრამ რაკი ერთხელ ავირჩიეთ ეს გზა, რაკი ერთხელ დავადექით ძეძვის ჩეხვას, ბარემ გავკაფოთ კიდევ, რამდენადაც შეგვიძლიან მაკლნარი, უკან ნუღარ დავბრუნდებით სულ-მდაბლებივით; გვწამდეს,

ამიტომ ვერავითარი საავადმყოფო ვერ მოსპობს ვერც ყელკურებასა, ვერც წითელასა და ვერც ყვავილს. იმის მოსპობას დაეხმარება ისევ არსებობს ვაყვანა მთელს ქალაქში, რაც ქალაქის თვით-მმართველობას უკვე განზრახულიაქვს. მანამდე-კი, რა ღონისძიებაც უნდა იხმაროთ, ყოველივე ღონისძიება მხოლოდ დროებითი იქნება, და სამუდამო სიკეთეს არას მოგვიტანს. ამიტომ, ჩემის აზრით, კარგს ვიზამთ, რომ ზაფხულამდე, მით უმეტეს, რომ ზამთარში ძნელია საავადმყოფო სახლის აგება, ვიკაროთ ის ღონისძიებანი, რომლისათვისაც გამგეობა 2,800 მანეთის გადადებასა ვეთხოვს, ხოლო ზაფხულიდამ-კი სამუდამო საავადმყოფოს დაარსებისათვის ვიფიქროთ. მიხედვის საავადმყოფო შეიძლება ერთს დღეს გააუქმოს მთავრობამ და ქალაქი ხომ ვერ დადგება უსაავადმყოფოდ.

სმ. გ. მ. ანდრეასი. საავადმყოფოთი სწრაფად ვერ გაუწევთ ხალხს დახმარებას, რომელსაც ეხლავე სჭირია შევლა, ამიტომ მხოლოდ დროებითი ღონისძიებანი და შეღავათი უნდა ვიკაროთ. ჩემის აზრით, დღეს ლაპარაკი სამუდამო საავადმყოფოს შესახებ სრულიად მეტია და უადგილო. ტფილისში დაარსებული საზოგადოება „ბაგა“, რომელსაც ყაწვილებისათვის საავადმყოფოც ექმნება, ეს საზოგადოებაც დაგვეხმარება. ბატონები ან საზოგადოების საავადმყოფოში ვგზავნოთ, ხოლო დიდრონები მიხედვის საავადმყოფოში.

რომ ყოველთვის არ დავიტანჯებით. — როდის, როდის აღარ ვიტანჯებით, განა ისეთი დღე იქნება? გულ-მტკივნეულად წამოიძახა თეომ.

— როდის? როდის და მაშინ, როცა ზედ შევაკვდებით მტარვლებს, როცა ჩვენის ბრძოლით ძირს დავცემთ უსამართლობის დროშას და განწირულ სულის კვეთების საზოგადო საქმის გაფაქიზებით ვაგადაღებთ. სამწუხაროდ ბევრისთვის ეს მარტო სიტყვები არის, მეც ამ ბოლოს დროს ბევრჯერ ჩავვარდნილვარ სასოწარკვეთილებებში, მაგრამ სულ-მდაბლობით რა გამოვა. მოვიკრიბოთ ძალ-ღონე, გავიხსენოთ, რომ ქვეყნად მარტო ბოროტება არ სუფევს, არის სიკეთეც, თუმცა ათასს გაქირავებში გახვეული, და სწორედ იმის ძებნაში უნდა დავლიოთ დღენი. კმარა თეო, გულს ნუ იკლავ, მე არა ვღირვარ იმად, რომ შენისთანა სოფლისთვის საჭირო ადამიანი ჩემი გულისთვის სასოწარკვეთილებებში ჩავარდეს. კიდევ გიმეორებ, მე იმედი მაქვს განთავისუფლდე და მაშინ ორივენი ხომ ერთად ვიქნებით. მოდი, მოდი ჩემთან ახლო, მოეყრდნე ამ ოხერ მოაჯირს, ერთხელ კიდევ დავინახო შენი თვალები, კიდევ ისეთ ცუცხლს აკვებებს, კიდევ ისეთი სიმხნევით არის საესე თუ არა? დააბოლოვა ზურამ თავისი სიტყვა და ამოიხარა.

თეო ცრემლებად იღვრებოდა. — ოხ, ზურა, რა უღმერთოდ ვიტანჯებით. თავ-განწირვით გაიძახოდა თეო. ცოტას ხანს შემდეგ თვალები მოიწმინდა, მიეყრდნო მოაჯირს და გატაცებით ცქერა დაუწყო ზურასა. ზურაც თავ-დავიწყებით უცქეროდა. ეს ისეთი ცქერა იყო, რომ მთელ სამოთხე ჯოჯოხეთს იყილდა და გაჰყილდა. მათ თვალებში ნათლად იხა-

ჭაქას მყოფავი. ჩვენ ხოლერობის დროისა დაგვჩა მოწყობილება 30 საავადმყოფოს საწოლისა, რომელიც მიხედვის საავადმყოფოს გარდაეცით. ეხლა 2,800 მან., ვთხოვლობთ, რომ საავადმყოფოებს ვაძლიოთ სასყიდელი გადამდებ, სნეულებანი შეპყრობილ ავადმყოფების შესანახად.

ქ. მ. ანდრეასი. ქალაქისთვის უეჭველად საჭიროა საკუთარი საავადმყოფო. აქ დროებითი ღონისძიებანი არას გვარგებს. გუბერნატორი გეთხოვს დავაარსოთ ეხლავე საავადმყოფო. ჩვენ დღე ხანია ნაუქირი გვაქვს, რომ მუშა ხალხისათვის დავაარსოთ საავადმყოფო. კაცის თავზე რომ ორ-ორი და სამ-სამი მანეთი შეგვეწერა, ეს საავადმყოფო აქამდის დაარსდებოდა, არ მესმის, აქამდის რა აგვიანებს ამ საქმეს? ეს საავადმყოფო რომ აქამდის დაარსებული გვექონოდა და იმის დაარსების საქმეს ისე გულგრილად რომ არ მოვქცევოდით, ეხლა ეს გაქირავება კარგებზე აღარ მოგვადგებოდა.

სასანიტარო საქმეში ინსპექტორი ქ. სტეფანოვი. მოხსენება მუშა ხალხისათვის საავადმყოფოს დაარსების შესახებ ჩქარა წარმოედგინება საბჭოს, ერთს თვეზე არა უგვიანეს. ეგ საქმე აქამდის იმ გარემოებამ დაავიანა, რომ უნდა შემუშავებულიყო წესი მკვიდრთა შორის სასავადმყოფო გარდასახადის გაწერისა; ამის შესახებ შევეკითხებით მოსკოვისა და პეტერბურგის საბჭოებს და პასუხს ველოდით. ამას გარდა, ახალს სამკით-

ტებოდა, რომ ამ ეამად იმათთვის ყველაფერი ამოგება იყო, თვით დედის გვირგვინი, თვით კაცის გამიხნევებელი და შარავანდელი შემოსილი დედა, თვით უკვდავები! მაგრამ მალე გამოერკვნენ. მიწიერმა წარმავალმა მაცდურებამ ვერ დასძლია იგინი.

— თეო, სთქვა ზურამ, ხომ განსოვს რაც გითხარი. მაგრამ ან-კი რაღად გავიანებ, როდესაც მე იმედი მაქვს შენ ყოველთვის მაგ აზრისა იყავ და იქნები კიდევ. ჩვენ რამდენიმე წუთის შემდეგ დავშორდებით ერთმანეთს. შენ წახვალ სოფლად და მე-კი ისევ ამ შავ-კედლებს უნდა ვეყო. შენ იქ იშრომე, იშრომე, რომ გულის ჯავრი შეიშლუბუქო, და შრომა პატიოსანი უმნიშვნელოდ არ დარჩება, ერთხელაც იქნება გამოიღებს ნაყოფს და მშრომელსაც სულის სიმშვიდეს ღიანიქებს... ეჰ, ამოიოხრა ზურამ, სხვა რაღა გითხრა, ჩვენს მდგომარეობაში მყოფ ადამიანს მეტა არა დაგვრჩენია-რა. მაგრამ არა... ერთსაც გვხვეწები, — თუმცა-კი სათქმელად მეხარება, რადგანაც ეს ჩემ პირადობას შეეხება. მე გვხვეწები... არ შილა... მაგრამ არა. ეს შეუძლებელია შენგან. პატიოსანი ადამიანი ამას არ იკადრებს. პატიოსანი ადამიანი, ის, ვისაც ერთხელ მიუცია ვისთვისმე ხელი და გული, სხვას აღარ გაუზიარებს აღერსა. დაახ, ეს შეუძლებელია პატიოსანის ადამიანისათვის, თავისთვის ჩაილაპარაკე ეს ბოლო სიტყვები ზურამ.

თეომ მაინც გაიგონა. ცრემლები გადმოჰყარა და შეჰკლადა.

— რას ამბობ, რას ზურა? შენი თეო მკვდარია ყოველგვარის მაცდურებისათვის. მას შენს მეტი სალოცავი არა აქვს.

ხელოს წესდებს დიდი კავშირი აქვს ამ საავადმყოფოს დაარსების საქმესთან და ამ წესდებისათვისაც ანგარიში უნდა გავვეწია.

ქ. გ. ანდრეასი. რამდენადაც მე ვიცი, სამკურნალო წესდებს არავითარი კავშირი არა აქვს საავადმყოფოს დაარსების საქმესთან.

ქ. ს. ანდრეასი. საქმე ამაშია, რომ ეხლავე დახმარება გავუწიოთ რამ ქალაქის მკვიდრთ. მიხედვის საავადმყოფო, რომელშიაც სულ 250 საწოლის დადგმა შეიძლება, ვერ შეიძლება და ვერ დააკმაყოფილებს ისეთს დიდს ქალაქს, როგორც ტფილისია. რაც შეეხება რკინის გზის საავადმყოფოს, იმისი იმედი ტყუილად გვექნება, რადგან ეს საავადმყოფო სულ ოთხის ოთახისაგან შესდგება და თითო ოთახი სამს ავადმყოფზე მეტს ვერ იტევს. უადგილობას ავადმყოფებისათვის იქაცა ვგრძობთ და ამიტომ ფულითაც-კი ვერ მოვიწვევთ ამ საავადმყოფოს ჩვენს საშველად.

სმ. ა. ს. ანდრეასი. რაც შეეხება საავადმყოფოს დაარსების საქმეს, ათიოდე წელიწადი გავა, ვიდრე ჩვენ იმას განვახორციელებთ. ხალხის მდგომარეობა-კი ეხლავე თხოვლობს შევლასა და დახმარებას. მე მგონია, რომ კარგს ვიზამდით დავაარსოთ საზამთრო ფარდულები ასე ოც-დახუთის ავადმყოფისათვის, რაც ექვსი ანუ შვიდი ათასი მანეთი დაჯდება.

ქ. გ. ანდრეასი. ქალაქის გამგეობას იმედი აქვს, მიხედვის საავადმყოფომ რომ მოინდომოს, შეიძლება რამდენ-

— მაპატიე, ჩემი უხამსი სიტყვა, ჩემო გვირგინო, და კიდევ გიმეორებ, განსოვდეს, რომ ჩემს გარდა შენთვის უნდა იყოს პატიოსნება, მოვალეობა. უნდა იკოცხლო მარტო, იმედი, რომ შეგიძლიან სხვას ხეობრივი დახმარება გაუწიო, ცოტათი მაინც არის შეუძლებელი უბედური ცხოვრება.

— მერე რას დამიშლის შენი სიყვარული, შენი გაღმერთება. განა რას დამიშლის ადამიანებში მარტო შენ მიყვარდე და შენით გამხნევებულმა გულად ვიარო ცხოვრებაში. უტოლოდ უსულო საგანიც-კი არ არის. გაჩუმდნენ თეო და ზურა. სხვა გულის ნაღები არა ჰქონდათ-რა. ერთმანეთის სიყვარული და დაუღალავი შრომა ეს ორი სიტყვა ეწერა იმ დროშაზე, რომელიც პირველ ერთმანეთის გაცნობისთანავე ზე აღმართეს. შრომა ჯერ წინ იყო. სიყვარული-კი ძლიერი ჰქონდათ, ისეთი ძლიერი, რომ დღეს თითქმის თავდაუწყებამდის მიდიოდნენ.

ამათ ლაპარაკში ეფემია განზე გამდგარიყო და იქიდგან შესცქეროდა ზურას. მისი გახუტებული ტუსადის ფარაჯა, ყისინას ქული, ნორჩი, მაგრამ აწეწილ-დაწეწილი წვერ-ულვაში, გაბურძნული თმა, მიხნედილი თვალები და გაფითრებული სხე ეფემიას გულს უღაღრავდა; იგი პირველად უცქეროდა ზურას ასე გატაცებით, პირველად დააკვირდა და რაღაც ნათესაურმა, დედა-შვილურმა გრძობამ სულის სიღრმედაც ამოსძახა: „ღირსია ზურა პატივისცემისა, ღირსია ადამიანად ჩავდებისა.“ გულში ჩანასახმა გრძობამ სახეზედ წამოუქროლა, თვალებში ცრემლი მოაგორა, მერე მთელს ტანში დაუარა, გააქრეოდა და სულ ერთიანად დასთუთქა! ტიროდა ეფემია ზურასთვის და ეს მარტო სიბრალულის ცრემლი

ნიმე საწოლი დაუთმოს გადამდებ სნეული ავადმყოფებისათვის საქმე ამშია, რომ მიხედვის საავადმყოფო ჩემდენიქნისამე განყოფილებისაგან არის შემდგარი და ყოველი რიგი ავადმყოფებისა განკალკევებულ სადგომშია მოთავსებული. სხვათა შორის, გადამდებ სნეულებით ავადმყოფთათვის ერთი სადგომი აქვთ დათმობილი, რომელიც ეხლა სრულიად გავსებულია. ამ რიგად, მიხედვის საავადმყოფო ვერც ერთს ოთახს ვერ დაუთმობს გადამდებ სნეულებას, შეუძლიან მხოლოდ მთელი სადგომი დაუთმოს, რომელშიაც შეიღირვა ოთახია. ხოლო თუ ასე მოიქცა, მაშინ იძულებული იქნება ერთ-ერთი თავისი განყოფილება დაჰხუროს, მოსპოს და ავადმყოფებიც, რომელნიც ეხლა წვანან, გასწეროს თუნდა განუკურნებელნიც იყვნენ. ამიტომ მიხედვის საავადმყოფოს რომ მოვახვიოთ ეგ საქმე, იძულებული იქნებოდა ნახევარი მიხედვის საავადმყოფოსი გააუქმონ. ეს-კი ყოვლად შეუძლებელია და არც სასურველია.

სმ. ა. მ. ანდრეასი-ანდრეასი. მე ქალაქის გამგეობის დასკვნა მოაკვებს. ჩვენ გვიცხადებენ, რომ საავადმყოფოებში ადგილი არ არისო და ჩვენ-კი ვავიძახებთ, ფულს მოგცემთ, ოღონდ ავადმყოფები მიიღეთო. აქ ფული რას გვიშველის, როდესაც ყველა საავადმყოფოს წარმომადგენლებმა გამოგვიცხადეს, რომ ადგილი არა გვაქვსო. მეც იმ აზრისა ვარ, რომ დროებითი საავადმყოფო

არ იყო! სამივე დატანჯულებს ლახვარივით დაუარა ამ სიტყვებმა. თეო მოკვდა, ზურას გულ-მუცელი გადმოუტრიალდა და თავს ხარი დაეცა. ეფემია ხმა მალდა ატირდა. ოხვრა, კვნესა ზე გოდება ერთმანეთს შეუერთა.

— მშვილობით, მშვილობით! ხავხავებდა ცრემლებისაგან დაოსებული თეო—გამხნედი, გამხნედი, დმერთო მოწყალეო, ცრემლებითვე ეუხნებოდა ზურა.

შვილო, ბერს ნუ იჯავრებ, ღმერთს სამართალი არა აქვს! როგორ დაგკარგავს უღანაშაულო ადამიანსაო, ხმა მალდა ღრიალებდა ეფემია.

— Ну, время! კიდევ გაისმა მოხელის ხმა. კვლავ აქვით-ქვითდნენ ზურა და თეო, კვლავ ღრიალებდა ეფემია.

— მიშველე, მიშველე, დედა! დაიკვილა თეომ და გულ-შემოყრილი იატაკზე დაეცა. ამის დამნახველი ზურა მოაჯირს იქით გაიქცა, გადაირია, ანკრედა იქაურობას და თავდავიწყებით ქვითინებდა. ეფემიას სიმწარით ვერა მოხებრხებინა-რა.

ახლოდ შემოსულმა მოსამსახურეებმა ასწიეს გულ-შემოყრილი თეო და გარედ გაიტანეს. ეფემია ცრემლებით გამოეთხოვა მოქვით-ქვითე ზურას და მოსამსახურეებს უკან გამოუდგა.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. მოისმა-ლა ზურას თავგანწირული წევვლა - კრულვა უსამართლობისა, კიდევ რაღაც გამოურკვეველი გმინვა და ესეც მალე შთანთქა სიტუსალოს კედლებმა!

თომანთ კობა,
(დასასრული იქნება).



უნდა დაეარსათ, ვიდრე ეს გადამდენი სნეულებანი სრულიად არ მოისპობა.

ქ. შაჰნარხანა. მიხეილის საავადმყოფოში წვანან მოხუცები, რომელთაც არა სტეკიათრა. მხოლოდ სიღარიბისა გამო ზამთრის იქ გატარებას რჩებენ და ზაფხულში-კი გამოეწერებიან ხოლმე. ისინი სამხედრო საავადმყოფოში გადავიყვანოთ და ადგილი დაიკლება. (საქათა საცალო გასმის).

ქ. მადანანი. სამხედრო საავადმყოფოს წესდება ნებას არ იძლევა, რომ სამოქალაქო წოდების ავადმყოფნი იყვნენ მიღებული. ასეთი ნება-რთვა მხოლოდ მაშინ არის დართული წესდებით, როდესაც საავადმყოფოში 10% თავისუფალი ადგილია. ეხლა-კი ამისი იმედი არ უნდა გვექონდეს, რადგან იქაც სიჭარბეა ავადმყოფებისა.

ქ. ხუდადოვა. ნება მომეცით ლაპარაკისა.

ქალაქის მოწყობა. ახალი უნდა სთქვათ რამე?

ქ. ხუდადოვა. მე ერთი რამ მაკვირვებს: ამბობთ, საავადმყოფოებში ადგილი არისო...

ქალაქის მოწყობა. ეხლა ექ. ხუდადოვი მე დამიწყებს კიცხვას, არ იცოდით, რომ ადგილი არ იყო... ამ თავითვე მოვახსენებთ, ვიცოდით.

ქ. ხუდადოვა. მაშ გავგეობის დადგენილებას არავითარი აზრი არა აქვს. ჯერ უნდა შეჭკობებოდით საავადმყოფოებს და მერე ისე დაგედგინათ.

მ. ა. მ. არდუთანსკა-დოლოვსკი. რამდენადაც მახსოვს, ამ რამდენისამე წლის წინად მოსკოვის ქალაქის მოურავმა ალექსეევმა სამს დღეში 200 საწოლიანი საავადმყოფო დააარსა და ჩვენ რად გვიძინებდა პაწისაავადმყოფოს დაარსება არ მესმის.

მ. ა. მანასეიანი. რაკი საავადმყოფოს ვერ ვახერხებთ, გავგეობის მიერ მოთხოვნილს 2,800 მან. ათასი მანეთიც მივუბრათ, რომ ამ ფულით დახმარება აღმოჩინოს იმ ღარიბ ოჯახებს, რომელშიაც გადამდებ სნეულებით შეპყრობილი ავადმყოფი იქნება. შეგვიძლიან ვუყვიროთ საქმელი, ძვირფასი სასმელი, რომელსაც ექიმი გამოუწერს, საცვალი და სხ.

მ. ა. თამაშველი. ამ წინადადებას ის უნდა დავუბრათ, რომ კარგი იქნებოდა, რადგან ადგილობრივ მკვიდრთ ავადმყოფების მოვლა კარგად არ იქნება, დანი მოწყობებისანი გამოვიწეროთ სამხედრო საავადმყოფოებში, დღეში ორ-ორი მანეთი სასყიდელი დავუნიშნოთ და იმათ მოურავონ.

მ. შაჰნარხანა. ვადამდები სნეულება უფრო პოლიციის პირველ განყოფილებაში ჩნდება, სადაც ხალხი ზნეობრივად დიდად დაქვეითებული არიან (საცალო) და უსუფთოდ სცხოვრობენ, ამას უნდა ეშველოს რამე.

მ. კვანჭულაია. რად გვიჭირდება საავადმყოფოს დაარსება, ხომ შეგვიძლიან კერძო კაცის სახლი დავიჭიროთ რამდენისამე თვით.

მ. მანასეიანი. არც ერთი სახლის პატრონი არ მოგვაპირავენს, რადგან მერე იმ სახლისათვის მდგმურს ვეღარ იშოვნიან.

დასასრულ ქალაქის გამგეობამ კენჭი უყარა ორს წინადადებას:

1) დაარსებულ იქნას დროებით საავადმყოფო ოცის ბაშისათვის, ანუ გადაიდოს საავადმყოფოს დაარსების საქმე იმ დრომდე, ვიდრე მუშახალხის საავადმყოფოს დაარსების საქმე გადაწყდება და მაშინ იმასთან ერთად დაარსდეს განყოფილება გადამდებ სნეულებანი ავადმყოფთათვის.

2) თუ გადაიდოს ეს საქმე, მიღებულ იქნას გამგეობის წინადადება, ხმ. იოანესიანისა და მ. ი. თამაშველის აზრთა ზედ დამატებით, რისათვისაც გამგეობის განკარგულებაში იყო 2,800 მან. და 2,000 მანეთი უკანასკნელ აზრთათვის, სულ 4,800 მან.

ფეხზე ადგომით კენჭი უყარა ამ ორს საკითხავს და საბჭომ ხმის უმეტესობით მეორე წინადადება შეიწყინარა.

დანარჩენი საქმეები გადაიდო შემდეგ სხდომისათვის. კრება 12 საათზე დაიწყო.

უცხოეთი

ოსმალეთი. ოსმალეთის მთავრობის საელჩომ პეტერბურგში შემდეგი ცნობები მიიღო: „ბითლისის სომხების სახელოვანმა მოქალაქეებმა გაუგზავნეს დეპეშა მთავარ ვეზირს კოსტანტინებოლში, რომელშიაც უცხადებენ დიდს უკმაყოფილებას სომხებ აჯანყებულთ. მათ სურთო სომხთა და ოსმალთა შორის უთანხმოება ჩამოაგდონო. თანაც სთხოვენ სულთანს წინანდელი კეთილგანწყობილება არ მოაკლოს მათ.

სომეხ-კათოლიკეთა ეპისკოპოსმა ანაბარამ და სომხების სახელოვანმა მოქალაქეებმა გაუგზავნეს ვეზირს ორი დეპეშა, რომელშიაც აგრეთვე ჰკიცხავენ სომხთა აგიტატორებს. სულთანის მფარველობის ქვეშე სომხები სრულიად უზრუნველ-ყოფილნი არიან და მშვიდად სცხოვრობენო.

„ჰავასის სააგენტო“ გვაუწყებს, რომ ჯარის-კაცებს უნდაღათ სტაციონერების შემოსვლის დროს მანიფესტაცია მოეხდინათ. პოლიციამ მოისურვა მათი გაბნევა, მაგრამ ჯარის-კაცებმა თოფის სროლა დაიწყეს. ოთხი კაცი დაიჭრა. დაჭრილები ჩუქად გააპარეს. იგივე გაზეთი ამბობს, რომ ოსმალეთის გემზე გაგზავნეს 300 სომეხი. საღ და რისთვის, არავენ იცის.

საზრანგეთი. „ლიბრ პაროლ“-ბი სტატიაა დაბეჭდილი, რომელიც დამტკიცებით ამბობს, რომ კონგრესი უთუოდ უნდა მოიწვიონ რესპუბლიკის ახალ პრეზიდენტის ამოსარჩევადო. ეხლა მხოლოდ იმაზეა საქმე, როდის მოიწვიონ კონგრესიო. პალატის კულუარში უკვე მსჯელობა აქვთ, ვინ ამოირჩიონ, ვალდეკ-რუსსო, თუ კავენიაკი. ამგვარს ხმებს აგრცელებენ განსაკუთრებით მონარქისტებისა და იესუიტების ორგანოები. მათ საშინლად აწუხებთ, რომ ფელიქს ფარს საზოგადოებაში დიდის სიმპატიით იხსენიებენ. თანაც არტონის საქმესაც აზ-

ვიადებენ და ათასნაირ ცილის-წამებას აგრცელებენ 1892 წ. სამინისტროს შესახებ (ამ სამინისტროში, სხვათა შორის, იყვნენ ლუბე, რიბო, დევილი და ბურჟუა).

ალექსანდრე დიუმამ დასტოვა სამი მილიონი ფრანკი, რომელიც უნდა განაწილდეს მის ქალებსა და ცოლს შორის. წიგთ-საცავი შეილი-შვილს დაუტოვა.

შემდეგი დიუმას კომედიები წარმოუდგენიათ ასჯერ და მეტად „Comédie française“-ში „Demi monde“ 1874-დამ—1892-დის 220 ჯერ წარმოუდგენიათ; „L'Et-rangère“ 1876-დამ 1880-დის 129 ჯერ; „L'fils naturel“ 1873-დამ—1879-დის 47 ჯერ, ერთი წლის განმავლობაში (1881) „Princesse de Bagdade“ 44-ჯერ. უკანასკნელი პიესები დიუმასი „Denise“-ი და „Francillon“-ი პირველსავე წელში წარმოადგინეს 106-ჯერ (პირველი) და 107-ჯერ (მეორე) და 1885 წლიდან რეპერტუარშია მოქცეული.

ჩინეთი. დალზიელის სააგენტო იუწყება შანჰაიში: „აქ ფიქრობენ, რომ რუსეთსა და ჩინეთს შორის შეთანხმება მოხდა, რომელსაც ის შემდეგი მოჰყვა, რომ ჩინეთმა ნება მისცა რუსეთის გემებს კიაო-ჩოს სრუტეში გაატარონ ზამთარი. ამ პორტს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. სრუტეში შესასვლელი გზა მეტად ვიწროა, ხოლო სრუტეს-კი თვითონ 315 ვერსის სიგანე აქვს. სრუტეს მახლობლად ჩინებული ქვა-ნახშირის მადანია. უწინ ჩინელებს უნდაღათ ამ სრუტეს გამოაგრება. ეხლაც-კი ისე გვაჩვენებენ, თითქო არა სურდეთ რუსეთის სურვილი აღასრულონ, რასაც ვირველის, მხოლოდ დიდთა სახელმწიფოთა თვალის მოსატყუებლად.“

შურნალ-გაზეთებიდან

ამოკრებილი ამბავი.

— მანქანების გამოღობვა და მატება, რომელიც შეინშნულია ამ ბოლის ხანებში თითქმის ყველგან და ნამეტნავად ამერიკაში, უქადის მრავალ მუშა-ხალხს უსაქმოდ დარჩენასა და მათსადაც უსახსროდ, უსარჩობად დარჩენასა, ეხლანდელი წარმოება საფაბრიკო და საქარხნო ხელოსნობისა და აგრედვე თვით მიწათ-მოქმედებაცა და სხვა ყოველივე გასარჯელი საკონომო სარბიელზე იმას ეტანება, რომ რაც შეიძლება იეფად დაისოს ბაზარში გასატანი საქონელი და ამ იეფობით აჯობოს სხვას და განდევნოს ბაზრიდან ყოველ გვარი მოცილე და მებრძოლი. ეხლანდელი გაჭირებული ცხოვრება, რომელმაც ბევრი სხვა-და-სხვა საჭიროება გაუმრავლა ადამიანსა და სახსარი სარჩისი და შოგნისა-კი გაუმწეა, რათქმა უნდა შეუძლებელი იქნებოდა, რომ ამასთან სიიფეე სახმარად საჭირო საქონლისა ცოტად, თუ ბევრად ხელს არ უწყობდეს გაჭირებულსა. ამ მხრით წადილი გაიფიქრებინა და თვით სიიფეე საქონლისა სასურველი უნდა იყოს, მაგრამ მეორეს მხრით მუშა-ხალხის სამაგუროდ მანქანების ჩაყენება და მით გაიფიქრა საქონლისა ამოდენა აუარებელს ხალხს უსაქმოდ სტოვებს და რადგანაც მუშა-კაცს თავისის მარჯვენისა და ჯანის მეტი არა აქვს-რა სული იბრუნოს ამ ქვეყნიერებაში, იგი, მანქანების წყალობით გამოდგენილი საქმიდამ, საღ უნდა წავიდეს? რით უნდა დაირჩინოს თავი? ეს მწვავე საკითხი მთელის თავისის მუქარით და საშინელის ქაღლით წინ სულთამბუთავსავით უნდა აყუდოს ადამიანსა, მაშინ, როდესაც იგი სამართლიანის თავმოწონებით

ისმენს ხოლმე ძლევა-მოსილობას ქუა-გონებისა მანქანების მოგონების გზაზედ.

იმის საცანურად თუ—რამოდენად მანქანა ზედ მოქმედებს მუშა-ხალხის სეგბედზე და რამოდენად საჭიროდ აღარ ჰხდის საქმისათვის მათს მარჯვენასა და მათსადაც, რამოდენად უზმობს სახსარს გასამრჯელოს მიღებისა და სარჩო-საბადელის შოგნისას, მოგვყავს შემდეგი მაგალითები.

დღეს აქამომდე საფეიქრო ფაბრიკაში ისეთი მანქანა იყო ხმარებული, რომ ეგონათ, უკეთესი აღარ შეიძლებოდა, რადგანაც აწ ხმარებული მანქანა ერთის კაცით იმოდენას აკეთებს, რასაც იმავე დროს ათი კაცი მოუწოდებდა ხელით მუშაობითა. ეხლა იმისთანა მანქანა მოუგონიათ ამერიკაში, რომ თვითვეული 95 თოფს ბაშის საქონელს აკეთებს კვირაში, თვითო თოფში 60 არშინია, უწინდელზე ერთი სამად მეტს. მათსა-დამე, საცა 30 კაცი ხელით მუშა უნდაღა, ეხლა იმას მანქანის წყალობით ერთი კაცი-ღა უნდება.

ციგარის კეთების საქმეში ეგონათ აქამდე, რომ აქ კაცის ხელს მაგიერობას ვერა მანქანა ვერ გასწევსო. ეხლა აქაც მოუგონიათ მანქანა, რომელიც ციგარების ფაბრიკაში აუარებელ მუშებს უსაქმოდ დარჩენას უქადის. ამერიკის მუშა-კაცი ათასის ციგარის კეთებაში (რასაკვირველია, მაღლის ხარისხისაში) იღებდა 4—5 მანეთს და დღეში ძალზე რომ ემუშავა 12—13 საათი, ასწრობდა 5000—6000 ციგარას კვირაში, მაშასადამე, კვირაში გასამრჯელოს იღებდა 20—30 მანეთამდე. ახლად მოგონილი მანქანა აკეთებს თურმე კვირაში 24,000—25,000 ციგარას და ამ მაშინას ამუშავებს ბაღლი, ვაფი იქნება თუ ქალი და გასამრჯელოს იღებს კვირაში 14 მანეთს. ამ სახით, 1,000 ციგარის გაკეთება ეხლა ამ მანქანის წყალობით ფაბრიკას უჯდება მარტო სამი აბაზი, ორთა მუშა რიცხვით რვაჯერ ნაკლებ ხელით მუშაობისაზედ. ნიუ-იორკში (ამერიკა) რაკი სცნეს იქაურთა მეფაბრიკეთა ამ მანქანის სიკეთე, მაშინვე დაითხოვეს მუშები ქალი, თუ კაცი და იმათი ადგილი დააჭირნეს მანქანასა, რომელსაც ამუშავებდნენ პატარა მოზარდნი რიცხვითაც ბევრად ცოტანი და ჯამაგირითაც ბევრად ნაკლებნი.

ისევ ამერიკაში ერთი ფერმა თურმე, რომელსაც დიდი მიწათ-მოქმედება აქვს თურმე. მანქანები რომ არა ჰქონდეს, 2,145 მუშა-კაცი მოუწოდებოდა, რომ საქმე საქმეზე მოვიდეს. ეხლა 600 კაცს ძალიან ადვილად ჰქმარობს, რადგანაც ყოველი საქმე მანქანითა კეთდება.

ერთის სიტყვით რაც ეხლა ჩრდილო-ამერიკაში სამუშაო კეთდება, ყოველს ამას რომ ხელით მუშა აკეთებდეს, 50 მილიონ-ნიდამ 100 მილიონამდე კაცი მოუწოდებოდა და აბა მანქანები რომ არა ყოფილიყო, საღ იშოვიდა ამერიკა ამოდენა მუშა-ხალხს და რა სარჩო შეინახავდაო. ეს ხომ ესრება, მაგრამ რაკი ასეთი მოთხოვნელი იქნებოდა მუშა-ხელისა, მუშა-კაცის ბედი დღეს სულ სხვა იქნებოდა. უბედურობა მუშა კაცისა დღეს ის არის, რომ მას მოცილე წინ დაუდგა მანქანა, რომელსაც არც სმა უნდა, არც ჰმა და არც მოსვენება. მოდიოთ და ამისთანა მომქმედს ომი გაუსწორეთ მსოფლიო სარბიელზე არსებობისათვის ბრძოლაში! (რ. ვ.)

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან). 11 დეკემბერი. ლონდონი. „ტაიმსი“ გვაუწყებს, რომ ლონდონის ბირჟები შიშმა მოიცვა ომი არ ატყდესო კლიველ-

ენდის ეპისტოლეს გამო, მაგრამ უხლო ცოტა არ იყოს დაშფობდნენ ამერიკის სესხის ფურცლების გასაღება გერმანიაში და საფრანგეთში მეტად ძნელია და მხოლოდ დიდის ფას-დაკლებით შეიძლება.

ნიუიორკი. ზოგიერთ მაკლერებსა და ბანკირებს ჰგონიათ, რომ ფინანსის მდგომარეობა გაუმჯობესდება. ფონდის ბირჟის დემოკრატიზაციამ განუტყვავა, რომ შიში გამოიწვია კლიველენდის ეპისტოლემ. კარაკასში ინგლისის შესახებ უკმაყოფილოება ძლიერდება. თხოულობენ ნაციონალურის გვარდიის მობილიზაციას. მართებლობამ განაცხადა, რომ სულ ყველა უცხო ქვეყნებში დაარსებული იქმნება ვენესუელის დიპლომატიური მისიები.

მასსოვა (სტეფანი). უიკრიკები დარწმუნებით ამბობენ, რომ იქალთა და მონათ, რომელნიც აბესინელთ თან ახლავთ, სურსათი შემოაკლდათო. 8 დეკემბერს მანგაშა თავს დაეცა მაკალეს, მაგრამ უკუქცეულ იქმნა. იტალიელებმა იერიში მიიტანეს სოფელ ეფაშერზე. აბესინელთ უკან დაიხიეს. 25 კაცი მათგანი მოკლული დასტოვეს. იტალიელები დაბრუნდნენ კასალაში, თან წაიღეს იარაღი და სურსათი, რომელიც აბესინელებს წაართვეს.

12 დეკემბერი.

ფინანსთა სამინისტრო აცხადებს, რომ ოქროს ფულის ხმარება გააღვილდეს და უფრო ადვილი საანგარიშო იქმნეს, ამიტომ მან გარდასწყვიტა 1896 წლის 1 იანვრიდან ერთი წლით შემდეგი კურსი დაადგინოს: იმპერიული 1885 წ. 17 დეკემბრის კანონის ძალით მოჭრილი ელირება 15 მანეთად, ხოლო პოლუიმპერიული 7 მანეთ ნახევრად. აღჩინდელი მოჭრილი ოქრო-კი იმპერიული ელირება 15 მ. და ცხრა შაურად, ხოლო პოლუიმპერიული-კი 7 მ. 72 კ. ბაჯალლო ელირება 4 მ. 63 კ.

11 დეკემბერს ლასკერმა და ჩიგორინმა ითამაშეს კილრაკი, პარტია გაყაიდა. *)

*) გუშინდელი დეპეშა გვაუწყებდა, რომ ამგვარადვე გაყაიდა სტინიციუსა და პილსბერის მეფუთე პარტიაც.

განცხადებანი

ახლოდ დაიბეჭდა და ისყიდება წერა-კითხვის გამავარცლებელის საზოგადოების წიგნის მალაზიაში: ნ. ბარათაშვილის ლექსები და წერილები. გომოცემა მეხუთე. ფასი 40 კ. მამის ერთეული. მოთხოვნა მოზრდილის ყმაწვილებისათვის ქრ. შმიდტისა ფასი 15 კ. მტრედო. მოთხოვნა მოზრდილის ყმაწვილებისათვის ქრ. შმიდტისა ფასი 10 კ.